

# გარემოსდაცვითი ქცევა და სხვისი პერსპექტივის გაზიარება

სალომე ხუნდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2017

## სარჩევი

1. სარჩევი.....	i
2. აბსტრაქტი.....	ii
3. კვლევის მიზანი.....	4
4. შესავალი.....	5
5. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
6. კვლევის მეთოდი.....	11
კვლევის დიზაინი.....	11
კვლევის ობიექტები.....	11
ცვლადები და ინსტრუმენტები..	11
პროცედურა.....	12
7. შედეგები.....	13
8. მონაცემთა ანალიზი.....	13
9. კვლევის შეზღუდვები.....	15
10. დასკვნა.....	16
11. გამოყენებული ლიტერატურა....	19
12. დანართი .....	21

## აბსტრაქტი

ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსადმი ადამიანების დაუდევარი მოპყრობა დღევანდელობის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის კვლევაც სულ უფრო აქტუალური ხდება. მოცემული კვლევა გარემოსდაცვით ქცევასა და სხვისი პერსპექტივის გაზიარებას შორის კავშირის დადგენას ისახავდა მიზნად. კვლევაში 113 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც ზოგადი გარემოსდაცვითი ქცევის და ინტერპერსონალური რეაქტიულობის ინდექსის კითხვარების შევსება ევალებოდათ. კორელაციისა და რეგრესიული ანალიზის მეშვეობით დამუშავებული მონაცემების შედეგებმა აჩვენა, რომ ეს ორი ცვლადი კავშირშია. გამოვლინდა საშუალო დონის დადებითი კორელაცია ( $r=.389$ ,  $p=.000$ ), დეტერმინაციის კოეფიციენტი,  $r^2$  0.151-ია. სხვისი პერსპექტივის გაზიარებას აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალა ( $\beta=.259$ ,  $p=.000$ ). იგი ხსნის გარემოსდაცვითი ქცევის ცვალებადობის 15%-ს, რაც ნიშნავს, რომ სხვისი პერსპექტივის გაზიარება 15%-ით წინასწარმეტყველებს გარემოსდაცვით ქცევას. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სასურველია მომავალში გაგრძელდეს ამ საკითხის კვლევა და დაემატოს საკვლევი ცვლადები.

## კვლევის მიზანი

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს დგას მსოფლიო არის გარემოს დაბინძურება. საზოგადოებას გარემოს ისეთ გამოწვევებთან უწევს შეჯახება, როგორცაა კლიმატის ცვლილება, წყლის ხარისხის გაუარესება და დეფიციტი, ბიოგანსხვავებულობის შემცირება. კლიმატური პირობების შეცვლის შედეგად ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი იმატებს, რაც სტრესის დონის ზრდას იწვევს საზოგადოებაში. ისეთი მასშტაბური ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა ჰაიტის 2010 წლის მიწისძვრა, ცუნამი 2011 წელს იაპონიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, 2008 წლის ქარბუქი ავღანეთში და კიდევ ბევრი სხვა დიდ დაღს ასვამს ხალხს, განსაკუთრებით კი მათ ემოციურ მდგომარეობას. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გარემოსდაცვითი ქცევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

გარემოს დაცვითი ქცევა ფარდობითი ტერმინია და დროსა და კულტურულ კონტექსტში ცვალებადია. მასში მოიაზრება ადამიანთა მიერ განხორციელებული ქმედებების ნეგატიური გავლენის შემცირება (Kolmuss & Agyeman, 2002) და ბუნებრივი რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე ორიენტირებული ქმედებები, როგორცაა ენერგოეფექტური მოწყობილობების შექმნა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, წყლის რესურსის ეკონომიურად გამოყენება და სხვა. გარემოსთვის არასაზიანო ქცევებით ადამიანი მომავალ თაობებს უნარჩუნებს რესურსებს, რაც შესაძლოა მოვიაზროთ სხვის პოზიციაში საკუთარი თავის წარმოდგენის ფაქტად. ჩემი კვლევის მიზანს სწორედ გარემოსდაცვით ქცევასა და სხვისი პერსპექტივის გაზიარებას შორის კავშირის დადგენა წარმოადგენს.